№ 148 ივლისი 13, პარასკევი 1890 ივლისი 13, პარასკევი № 148

| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 . . . . | 10 — | 6 . . . . | 6 — |
| 11 . . . . | 9 50 | 5 . . . . | 5 50 |
| 10 . . . . | 8 75 | 4 . . . . | 4 75 |
| 9 . . . . | 8 — | 3 . . . . | 3 50 |
| 8 . . . . | 7 25 | 2 . . . . | 2 75 |
| 7 . . . . | 6 50 | 1 . . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„Иверія" (ежедне
КУТАИСЪ
2-й гильд. куп. Бер
Пурцхванидзе.

# ივერია

გაზეთის დასაწერად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ჯუკაში, აჭარლის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებშისასახლის ქუჩაზე.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

ტფილისი, 12 ივლისს

შარშან, 1889 წელს, შესრულდა ოც-და-ხუთი წელიწადი მას აქეთ, რაც რუსეთში იქმნა შემოღებული ერობა და საერო დაწესებულებანი. ერობამ და საერო დაწესებულებამ დიდი სარგებლობა მოუტანა რუსეთს, ბევრი გამოურკვეველი საგანი გამოარკვია და განარჩია. ესაა, რასაკვირველია, მიზეზი, რომ რუსეთის ერმაც სულით და გულით შეიყვარა ეს დაწესებულებანი. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან უმთავრესი საფუძველი ერობისა და საერო დაწესებულებათა არის თვით-მმართველობა. თვით-მმართველობა ხომ ისეთი რამაა, რომ ერთი ათად უმატებს კაცს ძალ-ღონეს, ერთი ათად უმატებს ხალისს სამოქალაქო მოღვაწეობისთვის. კაცი თავისთავის გამგებელი, თავისთავის მზრუნველი, და პატრონი და არა სხვის ხელის შემაყურალი და მაცქერალი სრული მოქალაქეა, ჭეშმარიტი შვილია თავის ქვეყნისა. იგი მაშინ ადვილად და უბრძოლველად არავის დაუთმობს თავის უფლებას და ავის თვალით უცქერის იმას, ვინც ეპოტინება მის უფლებას, ვისაც სურს მოუსპოს თვით-მმართველობა და გაჰხადოს ყურმოჭრილ მონად.

მთელი ძველის საბერძნეთის ისტორია მოწამეა იმისი, თუ რანაირად შეუძლიან შეიყვაროს კაცმა თვით-მმართველობა. ხშირად ერთი რომელიმე მცირე ქალაქი, რომელიმე სოფელი, აი თუნდ პლატეა, მეგარა, სალამინი, თავ-განწირვით ებრძოდნენ თავიანთ თვით-მმართველობისთვის არა თუ გარეშე მტერს, არამედ იმ თავიანთ თანამემამულეთაც, რომელნიც-კი მოისურვებდნენ მათის შინაურის თავისუფლების მოსპობას.

მხოლოდ გაძლიერებულმა რომმა შემუსრა საბერძნეთის თავისუფლება და ამასთანავე დაიპყრო მთელი მაშინდელი ცნობილი ქვეყნები. რომი ისე ექცეოდა დაპყრობილ ქვეყნებს, როგორც შეჭმულის მძლავრსა და ონავარს ბატონს. ყველგან, სადაც-კი იყო თვით-მმართველობა, მოსპო და შემოიღო ისეთი წესები, როგორიც თვითონ სურდა.

მას აქეთ ევროპაში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე თვით-მმართველობის სახსენებელიც-კი განჰქრა. მხოლოდ ამ საუკუნის დასაწყისში, როდესაც ბოლო მოეღო მძლავრ ნაპოლეონ პირველის რეჟიმს და როდესაც აღორძინდა ეროვნობა, ხელ-მეორედ იჩინა თავი ძველმა მცნებამ: რომ ყოველი ერი და ნაწილი დიდის სახელმწიფოსი თვითონ უნდა იყოს თავისის თავის პატრონი, რომ ამ გვარად სახელმწიფო საქმეები უკეთ იწარმოებსო.

ეს აზრი წაიმძღვარა წინ ლიბერალების დასმა ინგლისში, რომელსაც მეთაურობს სახელოვანი მოხუცი გლადსტონი და სცდილობს შემოიღოს თვით-მმართველობა, კოლონიებს გარდა, სადაც სრული თვით-მმართველობაა, საკუთრად ინგლისში, შოტლანდიაში, ირლანდიაში და ვალლისში. იმედიცაა, რომ ინგლისში ეს აზრი მალე სრულიად გაიმარჯვებს.

რუსეთის მთავრობაც სწორედ იმ გზას დაადგა ამ ოც-და-ხუთის წლის წინად, რომელსაც ადგია ლიბერალების დასი ინგლისში. როგორც უკვე მოვიხსენეთ ზემოდ, მთავრობისგან შემოღებულმა ერობამ და საერო დაწესებულებამ დიდი სარგებლობაც მოუტანა რუსეთს და ქვეყანამაც შეიყვარა ეს ახალი დაწესებულებანი.

მაგრამ ერობას რუსეთში მტერიც ბევრი ჰყავდა. ყოველ მის ფეხის გადადგმას გაფაციცებით ყურს ადევნებდნენ ის უკეთურნი და, თუ შენიშნავდნენ მცირეოდენ შეცდომას, მოჰყვებოდნენ ყვირილს, ერობა დამღუპველია ქვეყნისაო და სცდილობდნენ დაეჯერებინათ მთავრობაც და საზოგადოებაც, რომ ერობას ზარალის მეტი არა მოაქვსრაო. ამ უკანასკნელ დროს-კი ერობის მოწინააღმდეგენი დიდად სცდილობდნენ გაევრცელებინათ ხმები, ვითომც მთავრობას სურს სრულიად მოსპოს საერო დაწესებულებანიო. ეს გამოურკვეველი ხმები, უცოდინარობა იმისი, თუ რა მოელის მომავალში ერობას, სწორედ სიცოცხლეს უშხამავდა ერობის მოკეთესა და გულ-შემატკივარს.

დღეს ამ უცოდინარობას და შიშს, რომ არავინ არა უხიმანოსრა ერობასაო, ბოლო მოეღო, ერობა, როგორც სასარგებლო სახელმწიფო დაწესებულება, დარჩება ისევ ისე, როგორც იყო აქამდე, მხოლოდ რამდენიმე თვალ - საჩინო ცვლილება იქნება შემოღებული. ახალის დებულების ძალით, რომელიც საქვეყნოდ გამოცხადდა წარსულ თთვის თორმეტს, საერო არჩევანებში, როგორც ყველა აწინდელ მეფობის დაწესებულებას, უპირატესობა მიეცემა კეთილშობილთა წოდებას, ასე რომ ნახევარი ხმოსანნი ერობისანნი უნდა იყვნენ პირადი და ტახტის აზნაურიშვილნი და მეორე ნახევარი—სხვა წოდებისანი. მეორე თვალსაჩინო ცვლილება კიდევ ისაა, რომ ადგილობრივ ადმინისტრაციას უფრო დიდი გავლენა ექმნება საერო დაწესებულებაზე, ვიდრე აქამდის ჰქონდა.

უნდა შევნიშნოთ-კი, რომ ეს ცვლილებანი აგრე რიგად ფერს და ხასიათს ვერ შეუცვლის ერობას, რადგან აქამდისინაც თვით საქმით თავად-აზნაურობას ეკუთვნოდა უპირატესობა საერო დაწესებულებაში და ადმინისტრაცია ხომ წინადაც არ აკლებდა თავის ცოტა გარდამატებულს მზრუნველობას.

სასიამოვნო ისაა, რომ დღეის იქით ერობის მოსისხლე მტერნი იძულებულნი გახდებიან ჩაიკმინდონ ხმა, რადგანაც უმაღლესად აღიარებულია სარგებლობა მისი, სარგებლობა საერო დაწესებულებათა და ის სამსახური, რომელიც ერობამ გაუწია რუსეთს ამ ოც-და-ხუთის წლის განმავლობაში.

ფრონელი

## ახალი ამბავი

*** ამ დღეებში ტფილისის და გარშემო მინდვრებში დაჰყარა კვერცხი დიდ ძამლმა კალიამ, ბორჩალოს მაზრიდგან გადმოფრენილმა. კალია დაეცა ბაღებს და ხეხილის ფოთლებს სჭამს. კალია უფრო ნორჩს ფოთლებს ეხვევა და ვაზსაც ძლიერ ეტანება. ვერის ბაღებში კალიას ვაზები გაუფუჭებია. ბოსტნეული და მწვანე ბალახი ხომ ისე მოსპამა, რომ კაცს ეგონება მოუმკიათო. კალია პირველად დიღმისაკენ წავიდა და, როდესაც იქ ბალახი მთლად გადაჭამა, გადმოფრინდა ოქროყანის და წავკისის მხარეს. სოლოლაკის მთაზე დიდ-ძალი კალიაა ახლაც. ეშინიათ, რომ ეს კალია არ დაეცეს საბოტანიკო ბაღს და არ წაახდინოს აზიზი და ძვირფასი მცენარენი და ხეები.

*** ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსი ბ-ნი ფრიდე გუშინ ტფილისში ჩამოვიდა.

## ფელეტონი

### ფშაური ლექსები

(შეკრებილი ს. ხოშარაში *)

როსტომ თქვა: თუ-კი მაისმენთ,
სიტყვა ეს არი მართალი:
დატევებასა მტრისასა
დაწონა უნდა, გან ძალი!

—

თუშო, გაგიცედა ველობა,
ზოვი [1]) გაგისქდა მთისაო;
გაჰფრინდი, ვერ გაუწიე,
ვადამ მოგიკრა ხმლისაო!

—

თოელი თოვს; ჯიხვი ფეხს უცემს;
გულს გიგლის, მონადირეო:
„თოფი ვერსაით მამარტყი,
სისხლი ვერ გამადინეო!.."

—

ერთი, ორთაგან მოკლული,
საბრალო-სატირელია!
ერთმ რო დახოცნეს ოროლნი,
ის უფრო საკვირველია!..

(ხახათ ხაჩა)

—

თოფი ბულლი აქვს ბექანსა,
წამალი დალომლებული:
იმის ნაჰრევნი ნადირნი
დადიან დალონებულნი!

(აფშინათ ელიზბარი)

—

ვახშმობის უკვენ ძილი ჰჯობ,
მამა-პაპათა თქეიანო...
რაღა ჩემ დათხოვნა გინდა,
სტუმარო, თავად ჰკვიანო?!

(მგელუათ ხთისო)

—

მე მადლობელი ვიქნები,
რასაც მიბძანებ უფალო!
ჩემს თავს კალთაში გაგიხვევ,
შენ იცი, რასაც უზამო!..

—

თხას უთხრეს: „მგელი მამკვდარა"!
თხამ გაიცინა, გაიქცა...
თხაო, ნუ გაგხარებია,
განა სამგლეთი დაიქცა!
იმას რო მორჩა ლეკვები,
ისინიც მგლებად მაიქცა!..

(ისაკა ჭიჩუელი)

—

კაი ყმა მაშინ გატყდება,
ნახან ლუდ გაბევრდებაო.
ცუდაი მაშინ გატყდება,
ომი რომ გახშირდებაო!

—

შალვა, შურისა მძებნელი,
მთას ქორებულა კიოდა.
მე მონადირე მეგონა,
იმას თუ გული სტკიოდა!

(აფშინათ გიორგი)

—

კარგს ყმას არ იპატიჟებენ:
ჯარს არ გვიყენებს ჯარზედა;
არც იცის ამპარტავნობა,
არც დაკვეხნება ქალზედა!

(გაბიდოურთ ალექსი)

—

ატირდეს სამარეშია
მამა-პაპათა ძვალნია:
ნეტავი ამოგვაყენა
ძეთად გვექირა მხარია;
მაშინ ის გამოჩნდებოდა,
ვინაც მართალი არია!!

(გაბიდოურთ ალექსი)

—

აიმ გორსა და ემ გორსა
ერთად შავყრი და ჯახს უზამ;
მთკვარსა, იორსა-დ-ალაზანს
ერთად მიუგდებ, ყლაპს უზამ;
დიაც თუ თავსა გავიდა,
იმას-კი ველარას უზამ!!

(მისრიათ გალიდა)

—

ადგილის დედა ჩიოდა:
„სოფლის უფროსი კვდებაო;
ნუ მაჰკლავ, დამბადებელო,
სოფლობა წაგვიხდებაო!!"

—

ბერიკავ, შენი ფრანგული
იტირებს, გადაიქცევა:
ავაჰმე, ჩემო პატრონო,
შენებრივ ვერვინ მექცევა;
ვერცვინ შამიტანს ომშია,
შამიტანს, გამამექცევა!!

—

ბეჩავი თეთრი ქედანი
მთას თუ გადილის ქებულსა...
მითხრიან მიწის ლოგინსა,
თავ-მოლო ქვა ჩადებულსა!

(მისრიათ გალიდა)

—

მტერო, ნუ მემუქარები,
ზამთარია ქარიანი;
კიდევ სად შამამეყრები;
ამ უფაროს ფარიანი!

(მისრიათ ჭრელი)

—

ჯარჯი ჯამარის ლურჯასა
დაიცემინებს ცხვირსაო.
„რა არის, სატიალეო,
პატრონს რად უფრთხობ ძილსაო?"

—

დიაცისა დიაცამდე
გძელი გზა ძე, როგორც ცამდე...
რა გავიგო ვაჟკაცისა
შეტევება, ერთხელ ცდაზე!?

—

ბერიკაცი ვარ წვერ-თეთრი,
ალაფერდს მინდა შალოცვა;
კარგის თქმა, კარგის გონება,
სულის არ მინდა წაწყდომა!

—

კარგის ყმისა ცოლობასა
კარგნი უნდან ქალობანი;
კარგნი ადგომ დაჯდომანი,
კარგნი მოქცეულობანი!

—

*) ამ ლექსების შემკრებელისაგან ბევრი სხვა ლექსებიც მოგვივიდა წინად, მაგრამ დღემდე ვერ დავბეჭდეთ. შემდეგში შესაძლოა ის წინად გამოგზავნილი ლექსებიც დავბეჭდოთ. მოგვყავს აქვე წერილი, რომელიც მოგვივიდა ახალგაზდა შემკრებელისაგან ამ ლექსებთან ერთად: „ბატონო რედაქტორო, იმის მიუხედავად, რომ თქვენმა გაზეთმა ჩემი ნაშრომ-ნაღვაწი არ მოიწონა(?), მე მაინც ჩემსას არ ვიშლი; კიდევ დარწმუნებული არა ვარ, რომ ჩემი შეკრებილი ხალხური ლექსები უსარგებლოა ლიტერატურისთვის და უყურადღებო თქვენის გაზეთის განათლებულ მკითხველთათვის, და რომ „გასართობის" ადგილის ღირსნი მაინც არ იყვნენ!.. თუ წინად გამოგზავნილს ლექსებში უკვე დაბეჭდილი ლექსები ერთი, ვგონებ, ერია ლიტერატურისთვის უცნობელი ლექსებიც, რომელთ სიმშვენიერე მევე, უფცს, მახარებს, და ისიც, რომ იმისთანა ლექსები, როგორნიც არიან, მაგალითად: „ალაზნის თავსა, კლდის თავსა", „წუთია წუთისოფელი" და სხვები, არ იკარგებიან სამუდამოდ... რასაკვირველია, თქვენი ნება არი, თუ როგორც მოექცევით ამ რვეულის ლექსებსაც, ხოლო ჩემი სურვილიკი ის არის, რომ სარგებლობა რითიმე მოუტანო მოძმეთ და სამშობლოს... პირობა ისევ ის არი: შეუცვლელობა ლექსის ენისა... ვისგანაც ჩამიწერია, იმის გვარი და სახელი ფრჩხილებში ზის ლექსის ბოლოში... რაც უგვარ-სახელო ლექსია, ის ან მე მცოდნია, როგორც ხალხის შვილს, ან და ისეთს ადგილას ჩამიწერია, სადაც გვარ-სახელის გაგება ძნელი ყოფილა. დაჰბეჭდავთ, თქვენ იცით, არა და, ისიც თქვენი ნებაა".

[1]) ზოვი-ზვავი, ფშაველები ასე ხმარობენ ამ სიტყვას.

*** მდივანი ავსტრო-ვენგრიის საელჩოსი სტამბოლში გრაფ ბუდინოვი გუშინ ჩამოვიდა ტფილისში და განზრახვა აქვს საოსმალოს სომხების მდგომარეობას დააკვირდეს და იმათი გარემოება გულდადებით შეიტყოს.

*** ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ ტფილისში სამხრეთის მხარეს გამოჩნდა ცაზე ერთი ბჭყვრიალა, დიდი ვარსკვლავი, რომელიც ღრუბლიან ღამეშიაც-კი ჩანს მაშინ, როცა სხვა ვარსკვლავები არა ჩანან, და რომელსაც „ბეთლემის ვარსკვლავი“ ჰქვიანო. ნასწავლ კაცებს გამოუკვლევიათ, რომ ეს ვარსკვლავი, რომელიც პირველად ქრისტეს დაბადების ღამეს გამოჩენილა ქვეყნიერობაზე, სულ შვიდჯერ უნახავს ჩვენს დედამიწას: ქრისტეს დაბის ღამეს, 315, 630, 945, 1260, 1575 და 1890 წელს. ბეთლემის ვარსკვლავი სწორედ 315 წელიწადში ერთხელა ჩნდება ცაზე და დედამიწიდგან კარგადა სჩანსო.

*** ყაზახის ასის თავი ბ-ნი პეშკოვი, რომელმაც ერთის ცხენით გაიარა რვა ათას ვერსამდე ბლაგოვეშჩენსკიდან პეტერბურგამდე, აპირობს თურმე იერუსალიმში წასვლას სალოცავად. ამბობენ, რომ იერუსალიმიდამ პეშკოვი საქართველოში მოვა და აქედგან მერე ისევ კავკავს და პეტერბურგს გაემგზავრებაო.

*** აქაურს სატრანსპორტო კანტორებში შევიტყეთ, რომ ნიჟნი-ნოვგოროდის იარმუკაზე საქართველოდგან ამ თვეში ოც-და-ათი ათასზე მეტი ცხვარისა და ხარის ტყავები გაუგზავნიათ გასასყიდად და ორმოცათას ფუთამდე სპილენძი, რომელიც კავკასიის სხვა-და-სხვა ქარხნებში ამოუღიათ.

*** ამ დღეებში ახხაბადიდგან მოიტანეს ტფილისში გასასყიდად ექვსი ვაგონი მატყლი ხუთი ათას ფუთამდე.

*** ბ-ნი ფორკატი კრაპივნიცკის მალორუსიულის დასს მორიგებია, რომ ეს დასი სეკტემბრამდის ტფილისში ჩამოვიდეს და წარმოდგენები ჰმართოს.

*** ქართლი: ორივე ფრონის ხეობანი წელს ვერ დაემდურებიან მოსავალს. მეტადრე თიღვის ფრონესკენ აქებენ ჰირნახულებსა და ვენახებს. აკნევის ფრონის ხეობაც თუ ძლიერ კარგს არა, შუათანა მოსავალს მოისთვლის წელს. პური, რაც დადგება, კარგი და სალი იქნება, ქერებსაც არა უშავთ-რა, სიმინდები მშვენიერებია, ვენახებსაც ურიგოდ არ ასხია. უბედურობა ის იქნება, თუ იმერეთიდამ ჩვენსკენაც გადმოისეირნა ფილოქსერამ. ჩვენიდგან სულ 30—40 ვერსი აღარ არის დარჩენილი შორაპან-რაჭამდე, სადაც ასე ძლიერ თურმე მძვინვარებს ფილოქსერა.

*** ახალციხე: 10 ივლისს ეწვია ჩვენს ქალაქს ბ-ნი ა. ხახანაშვილი, პროფესორი ქართულის ენისა მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტში. ბ-ნს ხახანაშვილს დაუთვალიერებია გზაზედ აწყურის ციხე და იქაური შესანიშნავი ტაძარი მე-XII საუკუნისა. დაათვალიერა აგრეთვე ახალციხის ციხე, ტაძარი და მეორე დღეს, დილით, გაემგზავრა საფარის მონასტრისაკენ, საიდგანაც მერე ჯავახეთს გადავა და ჰნახავს იქ ვარძიის მონასტერს. ბ-ნს ხახანაშვილს აზრადა აქვს, საარხეოლოგიო კვლევა-ძიების გარდა, მიაქციოს ყურადღება ჯავახეთის ყოფაცხოვრებასა, ჯავახთა ზნე ჩვეულებას და საზოგადოდ ამ ქვეყნის ძველებურის მესხეთის გამაჰმადიანებულ ქართველების ავ-კარგიანობას.

*** ბორჯომი: 9 ივლისს აქ ჩამოვიდა ჩვენი თანამემამულე, პროფესორი ბ-ნი ა. ხახანაშვილი, რომელიც დავალებულია მოსკოვის არხეოლოგიურის საზოგადოების მიერ, გამოიკვლიოს ღირს შესანიშნავი ადგილები, მდებარე ხაშურ-აბასთუმნის გზა ტკეცილის გაყოლებაზე, და გუშინვე ახალციხისაკენ გაემგზავრა. აქეთი მხარე შესანიშნავია თავის ურიცხვის ძველის-ძველის ნაშთებით. არა მგონია, საქართველოში იყოს კიდევ კუთხე ასე მდიდარი ამ მხრივ. ბევრს დაუთვალიერებია ეს ადგილები, ახლაც ბევრი ათვალიერებს და ყველა აღტაცებაში მოჰყავს აქაურ ციხე მონასტრების მდებარეობას, მათ სიმკვიდრეს, სილამაზეს. ეს კია, რომ ყველანი მარტო ცნობის-მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, ან დროს გასართობად თუ იწუხებენ თავს. აქამდის თითქმის არავინა ყოფილა, რომ განგებ მათი ძიება-კვლევისთვის ემსხვერპლა დრო და მოცალეობა, და მერმე თავის ნანახი საზოგადოებისათვის გაეზიარებინა; ახლა-კი, იმედია, ჩვენი ახალგაზდა პროფესორი არაფერს დაიშურებს, რომ ძველთა სახსოვარი გულ-დადებით გაჩხრიკოს და ჩვენს წარსულს ისტორიას რაიმე ნათელი მიაჰფინოს.

*** „С.-Петерб. Вѣд.“ ამბობს, რომ, სახელმწიფო ქონებათა მინისტრის განკარგულებისამებრ, კასპიისზღვის პირზე კანაფი უნდათ გააშენონ, რადგანაც ამ მცენარის კანი ბევრით უფრო მაგარია, ვიდრე ჯუტისაო.

*** ჩვიდმეტს ამ თვისას მთავარმართებელი რკინის-გზით ბათუმს მიდის და იქიდგან შავის-ზღვის პირის ქალაქების დასათვალიერებლად გაემგზავრება კისლოვოდსკამდე. გაზ. „კავკაზის“ სიტყვით, მის უღმატესობას განზრახვა აქვს ადგილობრივ შეისწავლოს და გაიცნოს სოხუმისა და შავის-ზღვის ოლქის მდგომარეობა და თავის თვალით ნახოს, როგორ მიდის ახალის გზების საქმე, რომელიც ეს არის ეხლა გაჰყავთ.

*** ივლისის 10 პოლიციის მეექვსე ნაწილში, ღამის შვიდს საათზე, ტფილისის მცხოვრებელი ივანე ფრიდონოვი, სულით ავადმყოფი, კრწანისში ეკკლესიის სახლის მესამე სართულიდგან გადმოვარდა, ორივ ფეხი მოიტეხა და ზურგის ხერხემალი დაუშავდა. დაშავებულს შემწეობა აღმოუჩინეს.

## წერილი რედაქციის მიმართ

ამ თვის პირველში შემოქმედის სასოფლო სკოლასთან (გურიაშია) დაარსდა წიგნთ-საცავი ორის განყოფილებით: სახალხოთი და სამასწავლებლოთი. სულ ას თერთმეტი ნომერია, 150 ცალამდის. წიგნთ-საცავს განაგებს მთავარ-დიაკვანი ანტონ ზოსიმის ძე ცეცხლაძე. წიგნები ანუსხულია გამგესაგან და მიეცემის ყველას შემოქმედის საზოგადოებაში მცხოვრებს საკითხავად უფასოდ და უსაწინდროდ იმ პირობით, რომ წაკითხვის შემდეგ ისევ უნდა დაუბრუნოს ბ-ნს ბიბლიოთეკარს უვნებლად, წინაამდეგ შემთხვევაში ვალდებულია წიგნის ფასი გადაიხადოს. ვაცხადებთ რა ამას საყოველთაოდ, შემოქმედის მოზარდ თაობასთან ერთად, უმორჩილესად ვსთხოვთ სოფლის ხალხის გულ-შემატკივართ და აგრეთვე ყველა იმას, ვისაც ორიოდე გროშის გამოღება კეთილის საქმისათვის არ ეზარება, ნუ დაიშურებენ დახმარებას და შემოწირულებას. ყველა შეწირულებანი და დახმარება დიდის მადლობით მიიღება ამ ადრესით: „Въ Озургеты. Димитрію Зосимовичу Цецхладзе для передачи Антону Зосим. Цецхладзе“, და გამოცხადდება გაზეთში წიგნთ-საცავის გამგეს მიერ. ხალხისათვის, რასაკვირველია, საჭიროა მხოლოდ ქართული წიგნები; ხოლო მასწავლებლისათვის-კი, გარდა ქართულისა, რუსულიც,—უფრო პედაგოგიური და მეურნეობისა.

გ. ბურჭულაძე

12 ივლისს

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, მომავალ სამოსწავლო წლიდგან ჩვენს გიმნაზიებში სწავლის საქმე, განსაკუთრებით გაკვეთილების რიცხვი, ოდნავ შეცვლილია. ეს ცვლილებანი იმან გამოიწვია, რომ საზოგადოებასა და მწერლობაში საერთო ჩივილი ისმოდა, ბავშვებს ძალიან დიდი შრომა აწევთ კისრად, ძველის ენებისაგან უმაწვილი დიდად შეწუხებულია და მოქანცულია და ბავშვი ადრევე ილახება, ადრევე იჩაგრება მაგდენადაც არა-გამოსადეგ ბერძნულ-ლათინურის ენების სწავლითაო. ამის შესახებ საერო-განათლების სამინისტროს მიერ შედგენილმა კომისიამ განიხილა ეს საგანი და, როგორც ჩვენს გაზეთშიაცა ვსთქვით, მხოლოდ მცირეოდენი ცვლილება შემოიღო: ძველ ენათა გაკვეთილები 10 საათით შეამცირა, გეოგრაფია—2 საათ. და მათემატიკა—1 საათ. ჩვენ ამასწინადვე გამოვაცხადეთ, რომ, რაკი სისტემა და მეთოდი სწავლებისა ისევ ძველივე რჩება, ძნელად თუ ათის გაკვეთილის შემცირებით საქმეს გაუკეთესება რამ დაეტყოსო. ამავე აზრისაა გაზ. „Русскія Вѣдомости“-ც. ამ გაზეთის სიტყვით,

ახალი განკარგულება საერო განათლების მინისტრის საშუალო განათლების პროგრამის სულ ერთიან შეცვლად არ ჩაითვლება, მაგრამ სწავლის საქმეს-კი ოდნავ გააუმჯობესებს და განაკარგებს, თუ თვით სკოლის მასწავლებელნი და ზედა მხედველნიც ეცდებიან ეს ცვლილება შემოიღონ და სწავლის საქმე თანდათან წინ წაიყვანონ და სისრულეში მოიყვანონ. აღზრდისა და განათლების თვით სათავეშივე მდგომთ სხვებზედ უკეთ იციან, რომ მშობელთა ჩივილი უსაბუთო და უსაფუძვლო არ არის, გიმნაზიის მოსწავლენი მართლაც ზედ აკლავენ თავს სწავლას და ამ სენსაკი პედაგოგები წამალს მოუძებნიან, თუ მოიწადინეს, მოუძებნიან ისე, რომ თვით დედა-აზრი განათლებისა არაფრით შეჰლახონ.

---

ამ მთათა თოვლიანთა
ზედა მენამც გადამკიდა,
ზედა მთოვდა, ზედა მწვიმდა,
ზედაც ნაქარს მამაყრიდა;
ხელჩი მამცა ჰრელი გველი,
შავი ყელთამც ჩამამკიდა,—
გავიძლებდი ყველაფერსა—
ცუდ საქმარეს არ ამკიდა!!
(მამიარეთ უგონური)

—

ვაჰ გულო, ვაჰ, გონებაო,
ვაჰ, სიშორეო გზისაო;
წავლაო-დ-აღარ მოსვლაო
ლაშქრით ლამაზის ყმისაო!..

—

ვაჰმე რა დიდი ბრალია:
შაცარდენი ჰყავს ძერასა!
გაუფრინდება, წაუვა,
შორით დაუწყებს ცქერასა!

—

შაიყრებიან ყორნები,
არ გაირევენ ძერასა...
კაცი ვერსაით მაჰრჩება
თავის ბედსა და წერასა!

—

ნეფის ერეკლის დროშია
შორს წავესხნოდი ძროხანი,
წავწოდი, წავიძინოდი,
წავიხურნოდი ჩოხანი!..

—

როსტომ თქვა: „სიბერკაცითა
სიტყვა სათქმელად გაჭირდა;
ჯაჭვი პერანგად გავცვითე,
ეხლა აღებაც გაჭირდა“!
(აფშინათ ელიზბარა)

—

ბერო, ბერობას ნუ სჩივი,
დაკლებას თვალებისასა!
გავლა გამოვლას ეცადე,
რიგებას სოფლობისასა;
სწორად სამართალ მისცოდე
თავისასა და სხვისასა!

—

კარგი ყმა ლა ძქარს მოკვდება,
სწორების მჯობინობასა;
ცუდაი—ბოსლისყურესა,
ქალებთან ლოგინობასა!

—

პურისა მზემა, ღვინოო,
სუფრა ჩემი ჰჯობ ქებული;
ბევრ-ბევრა კაცი მინახავ
შენგან კლდეთ გადაგდებული!

—

ბერიკაცსა და უძლურსა
მალე დაათრობს მაჭარი.
სიყმევ, გიყიდდი ფასადა,
თუ მოგილებდეს ვაჭარი!

—

ფანდურ, მამწონ შენი ჩქამი,
სტვირო, შენი ხმიანობა;
ვაჟიკაცო, ფარი-ხმალი,
ქალო, შენი თმიანობა!..

—

ზოგი კაცი კაცი არი,
ზოგი კაცი კაცუნაო;
ზოგ დედაკაც-დედაკაცი,
ზოგიც დედა-კაცუნაო!

—

ჯარჯივ, ჩაჰხედენ ჯიხვებსა,
რა ლამაზები დგანანო;
რქა რქაზე გადაუდვავს,
ანგელოზებსა ჰგვანანო?

—

იბოლსა სწყევდენ ყორნები:
ნუმც გამაჰსულხარ ველადა!
სანამ შენ გამოხვიდოდი,
ხორცი გვრჩებოდა ძველადა!

—

ახან ჯარნ დაჯარდებიან,
ჯარზე თავ-დაბლა დაჰჯდოდი;
სტუმრისად მონა დიაცსა
დაჰკრიდი, გამაგდოდი;
შინ თუ არ ჰამის პურაი,
კალთაში გამუხვიოდი!

—

ყანასა მორეულასა
რად უნდა დახედულობა;
გავლა-გამოვლა უნდარის,
ნამგალსა მოლესულობა!

—

აპრილამა „აჰი“ თქვა:
მთა და ბარი დატეიფა;
ხევ-ხუვი ზოვით აავსო,
ბექ-ბუქი ბალახითა!

—

მე აქაური არა ვარ,
ქვენაური ვარ ბარითა;
ხის ფურცლად გადმოყოლილი,
გადმოტანილი ქარითა!

—

დატრიალდება არაბი
ამ ქარიანს მთაზედა...
ორბი მუალის ცაზედა,
ქორ-შავარდენი მხარზედა,
მაათამაშებს ჯირითსა,
გალევებულსა მკლავზედა...
—ვაჟო სოლალავ, გაქებენ
ჯირითის ხმარებაზედა!
—მე ჯირითისა რა ვიცი,
გავზრდილვარ გურჯისტანზედა...
—ადე და წადი, სოლალავ,
არაბის მუქარაზედა!..
ადგა, წავიდა სოლალა,
დადგა სტამბოლის გზაზედა;
შვიდი დღე-ღამე იარა,
მივიდა ხონთქრის კარზედა;
ხონთქარი შინ არ დაუხვდა,
ვეზირი დაჰხვდა კარზედა!..
—რაად გაჰჯილხარ, სოლალავ,
რისთვი, რის თაობაზედა?
—იმით გიახელ, ბატონო,
მისთავი, იმ თაობაზედა:
ნაქები თქვენი არაბი
გამომყევს მეედანზედა;
ცხენიც თან გამაიყოლოს,
რძეს რო ასმევენ ტასტზედა,
ეთამაშება მასკვლავთა,
მაღლა ნასხამთა ცაზედა;
ხუთს მეჯინიბეს მაჰყვანდეს,
ტოტებს უქნევდეს თავზედა!..
ორშაბათ დილა გათენდა,
გავიდეს მეედანზედა;
ოთხი ესროლა არაბმა,
ერთიც ვერ ახლო ტანზედა;
ახლა მეხუთე ესროლა,
დაჰკრა უნაგრის თავზედა.
სოლალა გვერდზე მეექცა,
შადგა ცალს ავჟანტაზედა...
ერთს-კი მე გესვრი, არაბო,
მასაც ხთის [2]) ბედობაზედა.
ერთი ესროლა სოლალამ,
დაასვა ბეჭის თავზედა!..
მამას კაცი მიუვიდა:
— არაბი მოკლეს წამზედა!
— რამ მოკლა ჩემი არაბი,
გათქმული ქვეყანაზედა!..
სოლალა დაუჭერია, ხელებს უკრავენ
ტანზედა!..
(აფშინათ გიორგი)

—

ჩიტი შამოჯდა ლობესა,
იძახის: „გიშლიშობასა.“
ბევრსამც ვემ დროს დაჰხვდებით:
წელიწადსა-დ-ქრისტეშობასა!
(აფშინათ ნადირო)

—

მადლობა მამიხსენებავ,
უფროსებო, თქვენთვინაო;
სახელი და გამარჯვება,
უმცროსებო, თქვენთვინაო!
(მისრიათ ბეწინტური)

---

[2]) ხთის—ღვთის, ამ სიტყვას ამისთანა შემთხვევაში ასე ხმარობენ ფშავლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას გარდა გაზეთს დიდად თანაგრძნობლად მიაჩნია ის აზრი საერო განათლების სამინისტროსი, რომ რუსულიდგან ძველს ენებზედ თარგმნას დიდაქტიური ხასიათი უნდა დაედოსო. ეს სიტყვები აშკარად გამომხატველია იმ ახალის დედა-აზრისა რომელიც კლასიკურს განათლებას უნდა დაედოს საძირკვლადაო. რაღა თქმა უნდა, რომ ძველის ენების ცოდნა უფრო შინაარსის მხრით არის საინტერესო, ვიდრე ფორმის მხრით.

**

ინგლისის ქალები დიდს სიხარულსა და ზეიმში არიან, იმათმა სქესმა წრეულსაც გაიმარჯვა და ცოდნით მამათა სქესს აჯობა. გაზ. „P. B.“-ის ლონდონელ კორესპონდენტის სიტყვით, ეხლა ინგლისში ყველა მხოლოდ იმ ქალების შესახებ-ღა ჭლაპარაკობს, რომელთაც კემბრიჯის უნივერსიტეტში გაიმარჯვეს და ამ ამბით ყველა აღტაცებულია. წრეულს კემბრიჯის უნივერსიტეტში სამათემატიკო ეგზამენი ყველაზედ უკეთ დაიჭირა მისს ფაუსეტმა, ერთის აწ გარდაცვალებულისა და ყველასაგან ცნობილის ლიბერალის ქალიშვილმა, ყველა თავისს ამხანაგს აჯობა და უმეტესი ჯილდო თითონ დაიმსახურა. ამ ქალის გამოისობით ეხლა გაზეთებში დიდი ბასი გამართული, დედათა საზოგადოებანი ამ ქალის გამარჯვებას თავის გამარჯვებასავით დღესასწაულობენ, ხოლო დედათა ემანსიპაციის მომხრენი ახლა ამ ამბავს იხვევენ თითზედ, რათა ქალთა ჭკუა და უნარი სწავლისა დაამტკიცონ. ქალების სიხარულსა და აღტაცებას მით უფრო არა აქვს საზღვარი, რომ იმავე დროსა და იმავ უნივერსიტეტში კლასიკურ ენათა ცოდნის ეგზამენზედაც ქალმა გაიმარჯვა, მისს ელფიროდმა, და პირველი ჯილდო ქალს ერგო.

## რუსეთი

სასოფლო მრეწველობის სამეურნეო დეპარტამენტი აპირობს, რამდენსამე ადგილს დაწილოს ამერიკული ვაზი და მეცნიერულად გამოიკვლიოს, შეუძლიან თუ არა, ფილოქსერას ამ ვაზის წახდენა-დაზიანებო.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი განკარგულება მოახდინა: ა) პოლიციისა და ერობათა ბეითალებმა ფხიზლად უნდა ადევნონ თვალყური საქონლის ჭირის გაჩენას, გამოიკვლიონ თვით ავადმყოფობა, იმისი მიზეზი და ბ) თავიანთი აზრი დაუყოვნებლივ შეატყობინონ ადგილობრივ საერო და საადმინისტრაციო დაწესებულებათა, თუ იმათ შეეხება ეს საქმე. გ) ამასთანავე იგივე ცნობები თვით შინაგან საქმეთა მინისტრსაც უნდა გაეგზავნოს დეპეშით.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო საბჭოს გადაუწყვეტია, შემოიღოს ახალი საშუალება ათაშანგის გადამდებლობის წინააღმდეგ. თურმე მეცნიერებამ უკვე მოიგონა რამდენიმე ისეთი სითხე, რომ, ვისაც ის წამალი აქვს ნაპკური ან დალეული, ის ავადმყოფობა აღარ ედება, მაგრამ ამ სითხეთა ყოველთვის თან ტარება მოუხერხებელია. გარდა ამისა, თუ კაცმა ზომიერად არ იპკურა და არ დალია ეს სითხე, შეიძლება საწამლავად გადაექცეს. ახალი საშუალება უფრო ადვილი სახმარია და არც იმ სითხეებივით საშიშოა. ეს საშუალება არის ახლად გამოგონილი წამალში გატარებული ხელსახოცი, რომელიც ამას იქით აფთიაქებში უნდა იყიდებოდეს.

— ამ მოკლე ხანში რუსეთში უნდა მოვიდეს სწავლული იაპონიელი მკურნალი ტაკუზირო იამაო და ჩვენის სახელმწიფოს უმთავრესი სამკურნალო დაწესებულებანი დაათვალიეროს. ჯერ უნივერსიტეტების სამკურნალო ფაკულტეტებსა და სამკურნალო აკადემიას ნახავს და მერე სხვა დაწესებულებებს გასინჯავს. ამასთანავე ტაკუზიროს მთავრობისაგან მინდობილი აქვს, კარგად გაიცნოს რუსეთის ჯარის მკურნალობის წესები. ეს ცნობები იმიტომ უნდა თურმე იაპონიის მთავრობას, რომ განზრახვა აქვს ტოკიოში დააარსოს სამკურნალო ინსტიტუტი სამხედრო მკურნალების მოსამზადებლად. ტაკუზირო იამაო დაბრუნდება თუ არა იაპონიაში, მაშინვე შეუდგება ამ ინსტიტუტის დაარსების საქმეს.

— ასტრახანის სამოსამართლო პალატას მძიმე სასჯელი გადაუწყვეტია კონსისტორიის ერთს მოხელესათვის, რომელსაც მხოლოდ ორის ოთხ-ოთხ აბაზიანის მარკის დამალვა ჰბრალდებოდა. საქმე ასე ყოფილა: წარსულს წელს ვიღაც პანჩენკოს თხოვნა გაუგზავნია კონსისტორიაში, ჩემის ქალის წლოვანების მოწმობა მომეცითო, და თხოვნაში ორი გერბის მარკაც ჩაუდვია. ეს თხოვნა ბარნატსკის მიუღია, მარკები თავისთვის აუღია, საქმე დაუმალავს და პანჩენკოსთვის-კი ყალბი მოწმობა გაუგზავნია. მღივანისა და არქიმანდრიტების მაგივრად ხელიც თითონ მოუწერია. ბარნატსკის საქმე მალე გამომჟღავნებულა, სამართალში მიუციათ და სასამართლოს საქმის გარჩევის შემდეგ ციმბირში გაგზავნა გადაუწყვეტია.

— არხანგელსკის გუბერნიაში „ციმბირის ჭირი“ მძვინვარებს თურმე, და დღეში 200-მდე ცხენი იხოცება. რამდენსამე კაცსაც შეჰხვედრია ეს ჭირი.

— რადომის მაზრის სოფ. პურქეს მცხოვრებელი ზაპოლსკი სასამართლოს შეუპყრია, რადგანაც რამდენისამე კაცის მოწამვლა ჰბრალდებოდა თურმე. ზაპოლსკის ერთის გლეხის ცოლი წაუქეზებია, ქმარი მოწამლე და მერე მე შეგირთავო. ქალს მართლა ჩაუდნია ეს ავაზაკობა და შემდეგ ზაპოლსკის მისთხოვებია, მაგრამ $2\frac{1}{2}$ თვის მეტი ვერ უცხოვრია ახალ ქმართან. ზაპოლსკის ცოლი მოუწამლავს და სხვაზედ დაუპირებია ჯვარისწერა; რადგან ეს ახალი საპატარძლოც ჭკვიანი ყოფილა, იმისთვისაც ის უთქვამს, ქმარი მოწამლე და მერე მე შეგირთავო. აქ კი ბედს უღალატნია ზაპოლსკისთვის და სასამართლოს ხელში ჩავარდნილა, რადგანაც ქალს უჩივლია, მაქეზებს, რომ ქმარი მოვწამლოო.

## უცხოეთი

ავსტრია-ვენგრია. ბედნიერი ქვეყანაა ავსტრია-ვენგრიის მონარხიაში საკუთრად ვენგრია. რაც სიკეთე სჭირს ავსტრიას, ის ვენგრიას არ აკლია, ხოლო რაც საჭირ-ბოროტოა ავსტრიისათვის, ვენგრიას ცოტად თუ ბევრად აშორებული აქვს. თუ ავსტრიას თავისი პარლამენტი აქვს, თავისი ჯარი ჰყავს, ყოველივე თავისი საკუთარი აქვს და სხვისი თითქმის არაფერი არა ჰშურს-რა, ვენგრიასაც არ აკლია არც თავისი საკუთარი პარლამენტი, არც თავისი ჯარი და არც სხვა-რამე. მართალია, იმპერატორი ფრანც-იოსები, ბატონი მთელის ავსტრო-ვენგრიისა, ვენაში ბრძანდება და უფრო ავსტრიისაა, ვიდრე ვენგრიისა, მაგრამ საკონსტიტუციო წესით დაწყობილს ქვეყანაში ამას საიმისო დიდი მნიშვნელობა არა აქვს. სამაგიეროდ, ავსტრიაში ბევრი ტომის ხალხია შეჯგუფული, ისეთი ტომის ხალხი, რომელნიც ვერ მორიგებულან ერთმანეთში, თითოეული ცალკე იწევს და საკმაოდ ძლიერი ცალკე დასი ჰყავს პარლამენტშიაცა თავის საკუთარის ინტერესების დასაცველად. მარტო ჩეხელებმა გაუჭირეს საქმე ავსტრიას და ავსტრიის მეუფროსე ერს გერმანელობას, რომელსაც ძველებურად უნდა ბატონობა ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეებში, მაგრამ ამ სურვილს დიდის თავ გამოდებით ეწინააღმდეგებიან ჩეხნი. ჩვენ არ გაუფლებთ ძველებურად ყველგან და ყველაფერშიაო, ამბობენ ჩეხნი. ჩვენც ერი ვართ, ჩვენც გვინდა ცხოვრება, ჩვენც ჩვენი საკუთარი ინტერესები გვაქვს, ყველაფერი საკუთარი გვინდა, ჩვენს გემოვნებაზე, ჩვენს სურვილზე მოწყობილი და გარიგებული: სკოლაც, ეკკლესიაც, სასამართლოც, ისიც, ესეც და საზოგადოდ ყველაფერიო. მართლაც ჩეხელების წარმომადგენელნი პარლამენტში და სეიმში ისეთი ძლიერნი არიან, რომ მთავრობის უმრავლესობა იმათ სურვილზეა თითქმის დამოკიდებული. ვენგრიაში-კი ასეთი ამბავი არ არის, ჯერჯერობით მაინც. მართალია, იქაც არიან სხვა-და-სხვა ტომნი სლავიანებისა, რუმინები და სხვანი, მაგრამ ეს ტომნი ჯერ ისე სუსტნი არიან, რომ ვერაფერს მონაწილეობას ვერ იღებენ ვენგრიის პარლამენტში. ბურთი და მოედანი სახელმწიფო მოღვაწეობის ასპარეზზე ვენგრიელებს აქვთ ხელში და, როგორც თვითონა ჰნებავთ, ისე ბატონობენ, ისე უფლობენ, ისე ჰმართავენ საევნგრიო საქმეებს. ბევრს იწეწებიან და იგლიჯებიან წვრილნი ტომნი, ვენგრიაში დასახლებულნი, რომელთა საერთო რიცხვი ბევრად აღემატება ვენგრიელების რიცხვს, მაგრამ სათითაოდ, ცალკ-ცალკე, სუსტნი არიან, ღარიბნი არიან, დამოკიდებულნი ეკონომიურად და ამიტომ ვერა მოუხერხებიათ-რა წინააღმდეგ ვენგრიელებისა, რომელნიც სწავლით, განათლებით, სიმდიდრით, საპოლიტიკო გამოცდილებით თვით ავსტრიელ გერმანელებსაც-კი გადააჭარბებენ. ამ ჟამად ვენგრიის პარლამენტი ზის და უფრო მეტად იწვრთნება საპოლიტიკო საქმეებში, რა-კი ხელს არავინ არ უშლის, რა-კი წვრილმანი ბრძოლა სხვა-და-სხვა ტომთა მოწინააღმდეგე დასების პირის-პირ არა სჭირია, იწვრთნება, იძენს მეტს გამოცდილებას და უფრო მეტად ბრძენდება. მხოლოდ ამ ბოლოს დროს ამ პარლამენტსაც გაუჩნდა გულში უჩინარი ჭია აქეთ-იქით გაწევ-გამოწევისა, მიხლა-მოხლისა, დას-დასობისა. მაგრამ ეს ჭია ისე საშიშარი არ არის, რადგან შინაურობის საფუძველზეა გამოჩენილი. დღეს იქნება თუ ხვალ, დას-დასად გამდგარნი ერთმანერთს მოურიგდებიან, შინაობაში იოლად წავლენ, არისტოკრატი ვენგრიელი დემოკრატს ვენგრიელს ხელს მისცემს, ლიბერალი რადიკალს და კონსერვატორს დაუახლოვდება, თუ-კი ეს დაახლოვება ქვეყნისათვის გამოსადეგი იქნება გაჭირებაში. გრაფ აპონიის დასი, დასი მთავრობის ზომიერ მოწინააღმდეგე არისტოკრატებისა ადვილად შეუერთდა რადიკალების დასს და ორივემ ერთად დასცეს სამინისტრო ტისასი, რომელიც ცოტა ვერ ეწყობოდა ახალ რეფორმების შემოღებას. ეხლანდელი მთავარ-მინისტრი საპარი, მოთავე ლიბერალების დასისა, რომელიც მთავრობის ბურჯია, ყველამ, ზომიერებმაცა და რადიკალებმაც, პირველში დიდის თანაგრძნობით მიიღეს და შეიწყნარეს, თუმცა თვით ლიბერალები ვერაფრად ჰრიგდებიან ზოგიერთ დასის წარმომადგენლებთან, მეტადრე ამ დასის იმ ჯგუფთან, რომელსაც ჰმეთაურობს არისტოკრატი გრაფ აპონიი. ასეა თუ ისე, ეს დასობად დაყოფა ვენგრიას დიდს არაფერს უშლის და ვენგრიელები დიდს ტკბილს ცხოვრებაში არიან იმათის ოფლითა, ვინცა ჰყავთ ისე ულმერთოდ დაჩაგრულები, როგორც მაგალითად: რუსინები, სლავონები, ხორვატელები, კროატელები, რუმინები და სხვა წვრილნი ტომნი და ერნი. ვიდრე ეს საცოდავნი, ჯერ-ჯერობით ასე გაჭირვებულნი, ღარიბნი და გაუნათლებელნი, პატარა ხელს არ მოისმენ თავზე, ვენგრიელები დაუბრკოლებლივ იქმნებიან ასეთს ფარფაშობასა და განცხრომაში, მაგრამ, როცა-კი პატარა ზურგს გაიმაგრებენ, სწავლა ცოდნით შეიჭურვებიან, იმხნევებენ და ამ მხნეობა-გარჯით ცოტაოდენს ქონს მოიცხობენ, როცა ერთისა და ორის შტროს მაგიერის მაგიერ ათი და ოცი გაუჩნდებათ, მაშინ სხვა იქნება, მაშინ ისინიც მოითხოვენ და თავ-გამოდებითაც მოითხოვენ, საერთო ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში არც ისინი იყვნენ გამოწირულნი, რომ იმათაც ჰქონდეთ ნება, დაიცვან თავისი ინტერესები, მოითხოვონ ისეთი წესები და რიგები, როგორიც უფრო ეჭირებათ, ისეთი სკოლა, ისეთი ეკკლესია, სასამართლო, ადმინისტრაცია, როგორიც უნდათ. მინამდე-კი ვენგრიელები თავისას არ მოიშლიან, სხვის დაჩაგვრით თავიანთ თავს უფრო აიმაღლებენ: მეტი ქონება ვის გადუყრია, იმათ გადაჰყარონ; ან თავის ნებით ვის დაუთმია ის, რაც უსამართლოდ სჭერია. ჯერ-ჯერობით კიდევ ძალა აღმართსა ჰხნავს და რომელ ერსაც უნდა ცხოვრება ტკბილი და მშვიდობიანი ჰქონდეს, უნდა მკლავზე იცქირებოდეს, უნდა ღონე და ძალა ჰქონდეს. ხოლო ძალა მარტო თოფი და ხმალი არ არის. ამათზე მეტად სჭრის ცოდნა; სწავლა, ნაწურთნი და ნავარჯიშევი გონება და აზრიანი მაჯლობა, მხნეობა-გარჯილობა, ქონება-სიმდიდრე და მის მატების შნო და უნარი.

## წვრილი ამბები

ირლანდიაში ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მომხდარა: ვილაც ჯონ გარტს თავისი დედა მოუკლავს, დაუგუდნია და მერე ჭამას მიჰყოლია. ამ საზარელს მკვლელს მეთვალყურენი მაშინ მისწრებოდნენ, როდესაც თავის დედის ტვინს სჭამდა თურმე. მკვლელი დაიჭირეს და საგიჟეთში გაჰგზავნეს, მაგრამ, როგორც ექიმები ამტკიცებენ, ჭკუა-შეშლილობა სრულიად ვერ ეტყობა თურმე.

— შვეიცარიაში დიდის ხნიდგან სიკვდილით დასჯა გადაგდებული იყო, მაგრამ ამას წინად ისევ შემოიღეს. პირველად თავის მამის მკვლელს, კაუფმანს, გადაუწყვიტეს ხმლით თავის მოკვეთა, მაგრამ ამ განაჩენის აღსასრულებლად მთელს შვეიცარიაში ვერც ერთი ჯალათი ვერ მოსძებნეს თურმე. ვინც სიკვდილით დასჯის წინააღმდეგია, იმას ეს გარემოება ძალიან უხარიან და იმედი აქვთ, ჩვენს ქვეყანაში ისეთი თავის შემრცხვენი კაცი არავინ გამოჩნდება, რომ ამისთანა საზიზღარი მოკვლეობა თავს იდოს და ამიტომ მთავრობა ძალა-უნებურად იძულებული შეიქნება დამნაშავეს სიკვდილი აპატიოსო.

— კარაკასის (ამერიკაში) სენატს განსაკუთრებული ბაჟი შემოუღია იმათზედ, ვინც ოც-და-თხუთმეტ წელიწადს გადასცილებია და აქამდე-კი ცოლი არ შეურთავს. თავის გადაწყვეტილებას სენატი იმითი ასაბუთებს თურმე, რომ სახელმწიფოში მოქალაქენი ბაჟს შეძლებისადა გვარად უნდა იხდიდნენ, და ცოლ-შვილის პატრონი-კი, უცოლოს ოდენა ქონების პატრონიც რომ იყოს, მაინც იმაზე ერთი-ორად უფრო გაჭირვებულიაო. გარდა ამისა ცოლ-შვილის პატრონი ხალხს ამრავლებს, მომავალ თაობასა ზრდის და ამით საზოგადოებაში ზნეობის განმამტკიცებელია, და ამიტომ, საჭიროა, რომ ამ მეტის მეტად სასარგებლო წევრს, ამ ბურჯს საზოგადოებისას სვე-ბედი შეუმსუბუქდესო.

— შესანიშნავი მხატვარი ქალი როზა ბონერი განმარტოებით სცხოვრობს თურმე ფონტენბლოს ტყეში, რომ იქ, ბუნების მყუდრო წიაღში, უფრო თავისუფლად, მეტის დაკვირვებით ჰხატოს სურათები. ბონერი უკვე მოხუცებული ქალია და უწინდებურად ისევ გლეხკაცური ტანისამოსი აცვია. ამ ქალს სამხეცური აქვს გამართული, და ყოველგვარი შესანიშნავი მხეცი და ცხოველი ჰყავს. ამ ჟამად ბონერს უბედურება ეწია: იმის ერთს ხვად ლომს ყელზე ძვალი დასდგა და გაგუდა. ძუ-ლომმა ამის გამო ისე იწუხა, რომ თან გადაჰყვა. მხატვარ ქალს ეს მხეცები ყველაზედ მეტად უყვარდა თურმე და ახლა დიდს მწუხარებაშია ჩავარდნილი.

— ბევრი მილიონი დახარჯეს ავსტრალიელებმა, მაგრამ ვერა და ვერ გადაურჩნენ თურმე კურდღლებს. ყოველ დღე ურიცხვი კურდღელი შემოესევა ხოლმე და აფუჭებს ყანებს. რაკი სხვაფრივ ვეღარა გააწყეს-რა, იმ მხრისკენ, საიდგანაც კურდღლები შემოდიან, დიდი უზარმაზარი კედელი უნდათ აუშენონ, რომ ამით მაინც დაიფარონ თავი ამ მათთვის ასე მავნებელ ცხოველებისაგან. ორ ადგილას უკვე აუგიათ ამ გვარი კედელი: ერთი ორას-ათის ვერსის სიგრძისა სამხრეთ ავსტრალიაში და მეორე ოთხას ორმოც-და-თხუთმეტის ვერსის სიგრძისა ვიქტორიას შტატში.

— ჩინეთში ადამიანს ოთხჯერ ეცვლება თურმე სახელი. პირველს სახელს მაშინ არქმევენ, როცა დაბადებიდგან ოთხის კვირისა შეიქმნება და თავს მოჰპარსავენ; ამ სახელს „რძის სახელს“ ეძახიან. სკოლაში რომ დაიწყებს სიარულს, სახელი იმის კვალობაზედ ეცვლება, რა საგანშიაც იჩენს ნიჭს, მაგალითებრ, წერით თუ თავი ისახელა, „მშვენიერ ხელს“ უწოდებენ, ვინც კა-

გად ჰხატავს—„ჩინებული ხატვა“ დაერქმევა და სხ. მაგრამ უოველთვის, როდესაც ვისიმე გვარსა და სახელს დაასახელებენ, ჯერ გვარი ითქმის და მერე სახელი. ქალს გათხოვებამდის რმის სახელი შერჩება ხოლმე, მაგალითებრ: „უგავილი“, „დობილი“, „მვირფასი თვალი“ და სხ. ამისთანა. როდესაც გათხოვდება, მაშინ-კი „უგავილი“, მაგალითებრ, „იასამანის უგავილად“ შეეცვლება, ან-და სრულიად ახალი სახელი დაერქმევა: „ვერცხლ-ფეროვანი მთვარე“, «პეპელა» და სხ. და სხ. მაგრამ რაკი ცოტა ხანი გასტანს, მას უვან ცოლი ქმრის სახელს ატარებს. მამაკაცსაც, რაკი ცოლს შეირთავს, მესამე სახელი ერქმევა, და თუ სახელმწიფო მოხელედ შეიქმნა, მეოთხეცა.

◆◆

### გამოსადეგი ცნობანი

ამ დღეებში ვენის გამოჩენილმა პროფესსორმა ნოტნაგელმა მსმენელებს ერთი ათის წლის სუსტის აგებულების უმაწვილი აჩვენა თურმე. ბავშვს თირკმელები გამაგრებოდა და სიყვითლე დამართნოდა, ნოტნაგელის აზრით, ამის მიზეზი ის იყო, რომ ბავშვს დიდ-ძალი ღვინო, არაყი და სხვა ამ გვარი სასმელი უსვამს და იმას დაუსუსტებიათ. თვით უმაწვილიც გამოტყდა, ჩუმ-ჩუმად შკაფის კარებს გავაღებდი ხოლმე და სხვა-და-სხვა სასმელს ვსვამდიო ამიტომაო, ამბობს ნოტნაგელი: ის ექიმთა შორის დამკვიდრებული აზრი, ვითომ ბავშვს სხეულის გასამაგრებლად ღვინო უნდა ასვა, ტყუილია, და, ჩემის ფიქრით, 14 წლისაზე უმცროსს უმაწვილს არამც თუ არაყი, ღვინო, ან ლუდი, არამედ ყავა, ჩაი და შოკოლადიც-კი არ დაულევინებაო. ცხოვრების ვითარება ისეთი არის, რომ ბავშვის სუსტსა და ნორჩს ტვინს ათასი სხვა-და-სხვა შემთხვევა და ამბავი უდროვო-დროს აღელვებს და აჩქარებს და რაღა „მაგარი“ სასმელები ეჭირვება უიმისოდაც მხურვალესა და აღგზნებულს და ამასთანავე უმღვრს ტვინს ბავშვისასაო. კარგს საჭმელს გარდა ბავშვს სასმელად მხოლოდ რძე და წმინდა წყალი უნდა ეძლეოდესო, წმინდა ჰაერზედ უნდა იყოს და საცხოვრებლადაც იმისთანა ადგილას იყოს, სადაც, როგორც მისი სხეული, ისე სულიც მოსვენებული იქმნება და არაფერი არ შეუშლის ხელს იმის სუსტს ბუნებას თავისუფლად გაზრდასა და გაფურჩქვნასაო.

◆◆

# დეპეშა

11 ივლისი

პეტერბურგი. გამოცხადებულია, რომ ახალი სავლეხო და სასამართლო დაწესებულებანი 1891 წლის 1 იანვრიდგან შემოღებულ იქმნას: ეკატერინოსლავისა, კურსკისა, ნიჟეგოროდსკისა, ნოვგოროდისა, პოლტავისა, პსკოვისა, სიმბირსკისა, სმოლენსკისა, ტულისა და ხარკოვის გუბერნიებში. ბძანება გამოვიდა, რომ ხარკოვსა და ნიჟნი-ნოვგოროდში მომრიგებელი მოსამართლენი და მომრიგებელ-მოსამართლეთა კრებანი ძველის წესითვე დარჩესო.

ლონდონი. გუშინ აქ შეიკრიბა მეორე საერთა შორისო საპარლამენტო კონფერენცია, რომელსაც საგნად აქვს მოილაპარაკოს, როგორ მოვახერხოთ, რომ სახელმწიფოთა შორის ატეხილი დავა და უსიამოვნება მედიატორულის წესით იქმნას ხოლმე დაბოლოვებულიო. კონფერენციაში ინგლისისა და სხვა სახელმწიფოთა საკანონმდებლო კრებათა ბევრნი წევრნი იღებენ მონაწილეობას. კონფერენციას წარუდგინა განსახილველად შემდეგი აზრი: სახელმწიფონი ერთმანეთს პირობა უნდა მისცენ, რომ, როცა ჩვენ შორის რამე დავა ასტყდება, უთუოდ მედიატორებს მივმართოთ ხოლმე იმ დავის გადასაწყვეტადაო.

ვენა. „Politische Correspondenz“ იუწყება, რომ მსოფლიო პატრიარქმა მიჰმართა ოსმალეთს და წერილითა სთხოვა: უბრძანეთ მაკედონიის ბოლგარელ ეპისკოპოსებს, რომ მართლმადიდებელ ეპისკოპოსთაგან განსარჩევად, ოფიციალურად სხვა ტანისამოსი ატარონ და ამას გარდა ხსენებულ ეპისკოპოსების დანიშვნის ბარათებში ცხადად იყოს ხოლმე აღნიშნული, რომ ბოლგარიის ეკკლესია მწვალებელთა ეკკლესიაო (Раскольническая):

პეტერბურგის ბირჟა, 10 ივლისი.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | „ | 6 77 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 135 1/4 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | — „ | 1 12 1/4 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 227 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | 216 1/2 | — „ | — „ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | 212 3/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტ. ილისის ბანკისა . | — „ | — „ | 100, 62 |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | 99 3/4 |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | 90 „ | — „ | — „ |

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 16 ივლისამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. 4 1/2 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. 3
„ 2 „ 2 1/2
თონის წითელი პური 1-ის ხარ. 5 „
„ „ 2 „ 3 1/2
„ „ 3 „ 3 „
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა. . . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . . . 4 „
მე-3 — . . . . „ „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი. . . . . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
ღორის ხორცი . . . . . . „ „
„ 2 „ „ „ „

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილის კვალზე გემები.

# განცხადებანი


გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა - კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ - მადიდებელ ეკკლესიისა,

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის-მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

## ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესების შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა . . . . . | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კაკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | „ | 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . | „ | 25 |

## კბილი ალარავის: წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.



ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ენახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

მთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jegucy. № 106. (208—28)

### განცხადება ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისა.

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის პირველის, მეორის და მესამე კლასისთვის, რეალურ სასწავლებლის პირველ კლასისთვის და კორპუსისათვის. ქართულ ენას გარდა, სკოლის პროგრამმა სრულიად ეთანხმება აღნიშნულ სასწავლებლების პროგრამმას.

მომავალ ენკენისთვისათვის სკოლაში არის პანსიონერებისთვის და გარეშე მოსიარულეთათვის სულ 86 ვაკანსია: პირველ განყოფილებაში—39, მეორეში განყოფილებაში—10, მესამე განყოფილებაში—7, მეოთხე განყოფილებაში—10, პირველ კლასში—10, და მეორე კლასშიაც—10.

ზემო აღნიშნულ რიცხვიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მხოლოდ 19 ვაკანსია არის, რომელთაგან ხუთი საზოგადოების სრულს ხარჯზედ არის და თოთხმეტი საზოგადოების ნახევარ ხარჯზედ. ამ ხუთს ვაკანსიაში ერთი არის გორის მაზრის ღარიბ თავად-აზნაურთათვის, ერთი ტფილისის და დუშეთის მაზრებისათვის და სამი სიღნაღის მაზრისთვის.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზედ იქნება მიღებული, ის არაფერს არ იხდის; ნახევარ ხარჯზედ მიღებულს-კი გადახდება წელიწადში ათი თუმანი.

შენიშვნა: ნახევარ ხარჯზედ მიიღებიან ტფილისის გუბერნიის ყველა მაზრების თავად აზნაურთა შვილები;

გარდა ამისა პანსიონში მიიღებიან თავის საკუთარს სრულს ხარჯზედ მსურველნი, რომელთაც წელიწადში ოც-ოცი თუმანი უნდა გადიხადონ.

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველ განყოფილებაში მიიღებიან ყმაწვილები | | | არა უმეტეს 8 წლისა. |
| მეორე განყოფილებაში | „ | „ | არა უმეტეს 9 წლისა. |
| მესამე განყოფილებაში | „ | „ | არა უმეტეს 10 წლისა. |
| მეოთხე განყოფილებაში | „ | „ | არა უმეტეს 11 წლისა. |
| პირველს კლასში | „ | „ | არა უმეტეს 12 წლისა. |
| მეორე კლასში | „ | „ | არა უმეტეს 13 წლისა. |

შემომსვლელთათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტები: 1) მეტრიკის მოწმობა, 2) ყვავილის აცრის მოწმობა და 3) ვისაც საზოგადოების სრულს ხარჯზედ უნდა შემოსვლა, გარდა ხსენებულ დოკუმენტებისა, უნდა წარმოადგინოს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მოწმობა, რომ ის ბანკის დამფუძნებელთაგანია და აგრეთვე მაზრის მარშლისაგან სიღარიბის მოწმობა. ესვე საბუთებია საჭირო იმათთვისაც, ვინც საზოგადოების ნახევარ ხარჯზედ შემოდის, თვინიერ ბანკის მოწმობისა.

ვისაც სკოლაში შემოსვლა ჰსურს, წლოვანობის შესაფერი ეგზამენი უნდა დაიჭიროს. ვინც დროზედ დოკუმენტებს ვერ წარმოადგენს, ეგზამენის დაჭერის ნება არ მიეცემა და, თუ საზოგადოების ხარჯზე შემოდის, კენჭიც არ ჩამოეტარება.

თხოვნის მიღება დოკუმენტებითურთ შეიძლება დღითგან გამოცხადებისა პირველ სექტემბრამდის შემდეგის ადრესით: Въ Тифлисскій Дворянскій Земельный Банкъ для передачи въ Распорядительный Комитетъ Тифлисской Дворянской Школы.

მისაღები ეგზამენი და ხელმეორედ გამოცდა დაიწყება პირველს სექტემბერს და გაგრძელდება ხუთ სექტემბრამდის.

სკოლა მომავალ ენკენისთვეს გადადის ლაბორატორის ქუჩაზედ გურგენბეგოვის სახლში, სადაც ამ ჟამად ქალების ინსტიტუტი იმყოფება.

გარედგან მოსიარულეთათვის სწავლის ფასი თორმეტი მანათია. როგორც გარედგან მოსიარულე, ისე პანსიონერიც მოვალეა დაწესებულ ფულის ნახევარი შემოსვლისათანავე შემოიტანოს და ნახევარი იანვარში.

მშობელნი ვალდებულნი არიან, მათი შვილები რიგიანად იყვნენ ჩაცმულნი თანახმად სკოლის მოთხოვნილებისა და საჭირო სახელმძღვანელო წიგნები და სასწავლო ნივთები არ აკლდეთ. ამიტომ, ვინც მშობელთაგანი ტფილისში არ სცხოვრობს მუდამ, ვალდებულია, თავის მაგიერ ვინმე ტფილისში მცხოვრებთაგანი წარმოადგინოს თავდებად, რომელიც მოვალე იქნება აღასრულოს სკოლის ყველა მოთხოვნილება შესახებ ყმაწვილისა, რომელსაც თავდებობს. (3—1)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

## „ისტორიული ნარკვევი“

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ერეკლე რამიშვილთან, ხაშურში—თავ. ნ. ჩაბაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.


Д. ж. ценз. Тифлисъ, 12-го Іюля 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე